

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცნობართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცნობარი ჩემი წარწემდელი. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 12

1883-1891

30 ივნისი.

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მწყემსი»	«მწყემსი» რუსული გამოცემით
12 თოვით 5 მან.	12 თოვით 6 მან.
6 — 8 —	6 — 4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
 68 *Варшавы, Ръ редакция „Мѣмесѣи“ и „Пастыръ“.*

ყველა სტატიები და კორექსონ დენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბუქდავით გამოგზავნილნი ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს სტატიები მიიღებიან რუსუდის ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ლიბრ მნიშვნელოვან და უაღრესოვან მღვდელთაგან წოდებისა.

ღღეს მღვდელთაგან წოდებას და სამსახურს ისეთის ყურადღებით და პატივისცემით არ ეკიდებიან, როგორ ყურადღებას და პატივისცემასაც დაიმსახურებს იგი თავისი მნიშვნელობით და ღირსებით. ზოგიერთი პირნი ნიშნავენ მღვდლებში კაცთა ჩვეულებრივ სისუსტეს, ლტოლვილებათ, მოთხოვნილებათ და საზოგადო წარუხედავ, რათა, მსგავსად სხვა საერო პირთა, მათაც დაიკმაყოფილონ ამა ქვეყნი-

ური მოთხოვნილებანი. მაგრამ ამავე დროს ესევე პირნი ყურადღებას არ აქცევენ მღვდელთა სამსახურის იმ ღირსეულ მნიშვნელობიან მხარეს, რომლითაც ეს წოდება განირჩევა სხვა წოდებათაგან. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მღვდელთაგან წოდებას მრავალნი ისე უცქერიან, როგორც ერთ რომელიმე საზოგადო სამსახურს, რომელსაც იღებს თავის თავზე კაცი, რათა უზრუნველ ჰყოს თავისი თავი და მასთან მოიპოვოს საშუალება ცხოვრებისათვის. რადგან მღვდელთაგან წოდებას ასე მცირე ყურადღებას აქცევენ, ამიტომ ამ წოდების მტკიცე პირნი ძალიან დამცირებულნი არიან და ყველა მათ სჯაბნის. ღღეს ჩვენი

ინტელიგენციის წარმომადგენელთ თვალში მღვდელი რალაც უნო არსებათ ითვლება და ყველა მისი მბრძანებელია. მაი იმ მღვდელს, რომელიც გაბედავს რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს რომელიმე ბოზოლა პირს. ასეთივე აბუჩად ეპყრობიან ხშირად მღვდელობის წოდებას არა მარტო ერის კაცნი, არამედ თვითონ სასულიერო წოდების პირნიც, რომელნიც ემზადებიან სამღვდლო სამსახურისათვის. მრავალნი პირნი, მღვდელობის ხარისხის მიღების დროს, ყურადღებას აქცევენ არა თვით მღვდელობის წოდების მნიშვნელობას, არამედ უპირველეს ყოვლისა ამ წოდების იმ გარეგან მხარეს, ქვეყნიურ სარგებლობას და საშუალებას, რომელთაც იგინი გამოელიან მღვდელობის ხარისხის მიღებისაგან. რასაკვირველია, რომ ასეთ მრუდ შემედულობას მღვდელობის ხარისხზე ცუდი ზედ-გავლენა აქვს მღვდლის მოქმედებაზე და მისგან მღვდელობის მოვალეობის აღსრულებაზე. ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ მრავალ-გზის იქმნეს განხილული დიდი მნიშვნელობა მღვდელობის ხარისხისა. აგრეთვე საჭიროა მოეგონოთ მღვდელობის წოდების დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით იმ პირთ, რომელნიც ემზადებიან მღვდელობისათვის. როცა ეს პირნი ცხადათ დაინახვენ ამ წოდების დიდ ღირსებას, მათში აღორძინდება სიყვარული და პატივისცემა ამა წოდებისადმი და მაშინ ისინი ასე მოუფიქრებლად არ მიიღებენ თავის თავზე მღვდელობის წოდებას და როცა მიიღებენ, ასე გულაცრუებით არ მოეკიდებიან ამ წოდებას და იმ მოვალეობას, რომელსაც მღვდელობა სდებს მათ და ყოველივე დონეს იხმარებენ, რომ ღირსეულად დაიჭირონ თავი სამსახურში. მღვდელობის წოდების დიდი მნიშვნელობის შეგნება საჭიროა აგრეთვე საერო წოდების პირთათვისაც, რომ ისინი ასე აბუჩად არ ეკიდებოდნენ მღვდლებს, არამედ მორჩილებით და ყურადღებით ემორჩილებოდნენ იმ უფლებას, რომელსაც ანიჭებს მღვდელს ეკლესია. ასეთ განწყობილებას მღვდელთა და სამრევლოთა შორის სანატრელი შედეგი ექნება ხალხის ზნე-სარწმუნოების ამაღლებისათვის.

მღვდლის სამსახური არის დიდი და უმთავრესი სამსახური. ამ წოდების უაღრესობა მტკიცდება იქიდანაც, რომ მღვდელობა დადგენილია თვით უფლისა ჩვენისა იესო ძრისტესაგან; უფალი ჩვენი მღვდელობის წოდების მიმღებთ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებათა, ანიჭებს მათ იმ უფლების ცოტა ოდენს

ნაწილს, რომელიც აქნდა მაცხოვარს ცხა და ქვეყანასა ზედა (მათ. XXVIII, 18, 19. იოან. XX, 21—23. მათ. XVI, 19. XVIII, 18), და აღუთქვამს მათ, რომ იგი იქმნება მათთან უკუნისამდე, ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა (მათ. XXVIII, 20). მღვდელობის სამსახურს მტკიცე კავშირი აქვს ცოდვითაგან გამოსხნის საქმესთან, რომელიც შესრულა უფალმა იესო ძრისტემ. მღვდლება არიან გამაგრძობელნი ძრისტეს სამსახურისა. მღვდელნი თვით უფლისაგან არიან წარმოგზავნილნი, რათა აუწყონ კაცთა ზეცაური მადლი, რომელიც მოიტანა ჩვენს ცოდვილს ქვეყანაზე მაცხოვარმა, რათა დედამიწაზე დამყარდეს სასუფეველი ლეთისა. მღვდლების შუამავლობით ენიჭება კაცს მაცხოვარებითი მადლი ლეთისა, რომელიც უფალმა მანიჭა თავის ეკლესიას. საღმრთო წერილში მღვდლები იწოდებიან არა მარტო ლეთის მოსამსახურებად (ა კორინ. III, 5) და ძრისტეს მსახურად (ა კორინ. IV, I), არამედ იგინი არიან დმრთისა თანა შემწენი და მენი საიდუმლოთა დმრთისათანი (ა კორინ. III, 9. IV, 1). იმ პატივისა და ღირსების უაღრესობა, რომლითაც შემკულია სახელი უფლისა ჩვენისა, ვრცელდება მღვდლებზედაც და მათაც აშუქებს თავისი სხივებით. შოველი სახელმწიფო დიდის პატივისცემით იღებს სხვა სახელმწიფოსაგან გამოგზავნილ ელჩს. შეიძლება ეს ელჩი პირადათ დიდი პატივაღები კაცთა არც კი იყოს, მაგრამ მას პატივის-სცემენ მისი გამოგზავნილის სახელით, რადგან ეს კაცთა არის წარმომადგენელი თავის მეფისა და აღმარულებელი მის მონდობილებათა. ასევე უნდა ვექვეოდეთ ჩვენც მღვდლებს ლეთის ტაძარში, სადაც იგინი არიან მსახურნი და მოციქულნი ძრისტესნი. მღვდლებს პატივს უნდა ვსცემდეთ არა მათ პირადათ, არამედ მათი გამოგზავნილის სახელით, ენაიდგან იგინი არიან მოწოდებულნი აღსრულონ დიდი და წმიდა საქმე ლეთისა, არიან გამაგრძობელნი გამოხსნის საქმისა, რომელიც შესრულა უფალმა იესო ძრისტემ; იგინი არიან მიმცემნი კაცთადმი იმ დიდ მადლითა, რომელიც უფალმა მანიჭა ლეთის წმიდა ეკლესიას. ამას გვაძენებს ჩვენ თვით უფალი, როცა იტყვის: ამინ, ამინ გეტყვი—თქვენ: უკეთე ვინმე შეიწყნაროს, რომელიც მე მივაგვლინო, მე შემიწყნარებს (იოან. XIII, 20); ანუ: რომელიც თქვენი ისმინოს, ჩემი ისმინა; ღმრთელმან თქვენ შეურაცხ-

გუვნეს, მე შეურაცხ-ყოფს: და რომელმან მე შეურაცხ-ყოფს, შეურაცხ-ყოფს მომავლინებელსა ჩემსა (ღუგ. X, 16, მათ. X, 10).

მღვდლობის დიდი მნიშვნელობა მტკიცდება იმ მიზნისაგანაც, რომლისათვისაც დაწესებულია ეს წოდება და იმ მოვალეობათაგან, რომელსაც მღვდელთობა სდებს ეკლესიის მოსამსახურეთა. საღმრთო წერილში მღვდელთობის წოდების მიზანი გამოხატულია შემდეგი სიტყვებით: იგინი დადგენილ არიან დასამტკიცებელად წმიდას, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებლად გვაძისა ქრისტესისა, (ეფეს. 4, 12), ვიდრემდის მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მცენიერებისა ძისა დმრთისასა. მართი სიტყვით მღვდლებმა უნდა აცხოვრონ ხალხი და მოამზადონ იგი საუკუნო ნეტარებისათვის. ეს მიზანი ისეთი მაღალია, რომ მას არ შეეძრება კაცთა არც ერთი სხვა სანსახური. მღვდლების საქმეა— განანათლონ კაცნი ზეცურთი ქეშარიტების ნათელით და განდგენონ სიბნელე, ცდომილება და ცრუ-მორწმუნეობანი, ამისთვისაც იტყვიან მათ შესახებ უფალი: თქვენა ხართ ნათელი ქვეყნისა (მათ. 5, 14), მღვდლებმა უნდა შეაწირონ უსისხლო მსხვერპლი უფალს, მათ უნდა აღასრულონ დიდნი საიდუმლონი, რომელთა წინაშე მუხლს იდარგვენ თვით ზეცურნი ძალნი, მათ უნდა გადმოიყვინონ კაცთა ზედა მაცხოვრებელი მაღლი სულითა და იშუამდგომლონ ღოცვის დროს კაცთათვის ღვთის წინაშე,— უხელ მძღვანელონ კაცთა სულიერი ცხოვრების ძნელს სავალს გზაზე და დაიფარონ იგინი მრავალ შეცდომათა და ცოდვებისაგან, მათ უნდა აღამაღლონ სუსტნი და დაეძრონ, შეეყვანონ ისინი ღვთის სასუფეველში, და საზოგადოდ დამწყსონ ეკლესია უფლისა და ღვთისა, რომელიც მაცხოვარმა გამოისყიდა თავისი სისხლით (საქ. მოციქ. 20, 28). ჰოველ ამ საქმეთა დიდი მნიშვნელობა აქვს და ყოველივე ამა საქმეთა წარმოდგენამ კეთილ-კრძალულებით უნდა აღძრას ყოველი პირი, რომელიც თავს იღებს მღვდელთობის სამსახურს. მღვდელი არის ნათელი ქვეყნისა და მან უნდა განანათლოს კაცნი ზეცურთი ქეშარიტების ნათელით, მან უნდა დანერგოს კაცთა გულში თესლი სარწმუნოებისა და კეთილ ცხოვრებისა. რომ მღვდელმა ეს დანიშნულება შეასრულოს, რომ ის იქმნეს ნათელი სხვებისათვის, იგი თვითონ უნდა იყოს განათლებული

და განერთაბული, იგი უნდა იდგეს სხვებზე მაღლა და აქენდეს დიდი სწავლა. მღვდელი მთლად გამსქეპული უნდა იყოს ღვთაებრივი ქეშარიტებით, მას უნდა აქენდეს მტკიცე სარწმუნოება და ყოველთვის მზად უნდა იყოს, რომ შესადგერი სიტყვა მისცეს ყველას საჭიროების დროს. ამავე დროს რაიმე ცდომილებაში არ უნდა დააბნელოს მისი სული, რომელსაც აქვს მინიჭებული ეკლესიის სარწმუნოების სიწმიდე. მღვდელი მუდამ ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ მის სანერგელოში ენამე ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგი სწავლა არ გაავრცელოს. მღვდელი სწირავს მსხვერპლს და ასრულებს საიდუმლოთა, რომელსაც უმზით და კრძალვით უერთდება მთავარ-ანგელოსნი და ანგელოსნი. მღვდელი ტრაპეზზედ სწირავს ტარგას ღვთისასა, რომელიც თავს იღებს ცოდვათა ქვეყნისათა და მორწმუნეთა საცხოვრებლად ასრულებს დიდ საიდუმლოს ქრისტეს ხორცს და სისხლისას. როგორი სიწმიდე სულისა და გონებისა უნდა ჰქონდეს მღვდელს, რომ მან ღირსეულად და დაუსჯელად შეასრულოს ეს დიდი საქმე ღვთისა, რომელიც მას აქვს ჩაბარებული! მღვდელს აქვს მინიჭებული უფლება ეკლესიისაგან, იგი არის შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის; იგი შუამდგომლობს კაცთათვის ღოცვის დროს და აძლევს მათ უფლის კურთხევას და სული წმიდის მაღლს, რომელიც საჭიროა კაცთათვის წარსამატებლად მათ სულიერ ცხოვრებაში. დიდი ვაგებულება უნდა გგებდეს, რომ მიუახლოვედ ღვთის ტრაპეზს და მასს, რომელიც იმყოფება მიუწლომელსა ნათელსა შინა და რომელიც სწავას ყოველივე უწმინდურებას, რაიცა მიუახლოვდება მასს, და გამოითხოვო მისგან ცოდვათა მტკიცება ცოდვილთათვის, ის შემწეობა და კურთხევა უძლურთათვის, ის ზეციური მაღლნი, რომელნიც საჭირონი არიან ჩვენთვის, რათა დაეკმაყოფილოთ ჩვენი ცხოვრების აუცილებელნი საჭიროებანი! შუამდგომელი და მლოცველი ხალხისა უნდა იდგეს იმათზე მაღლა, რომელთათვისაც ის შუამდგომლობს ღვთის წინაშე. მღვდელი ხელმძღვანელობს სხვათა ცხოვრების გზაზე და, როგორც მწყემსი სულიერ სამწყსოთა, წინ მიუძღვის მათ და უჩვენებს გზას ზეციური სასუფეველისადმი. მაშასადამე მღვდელი წარმოავიდგენს ჩვენ მოწინავე კაცს, მმართველს და სულიერი სამწყსოზე მზრუნველს და ქველანი, მისგან აღზრდილნი და დამწყსნილნი, უნდა

ხედავდნენ მასში კაცსა ანუ ლეთის მსახურს, რომელიც დაყენებულია ხალხის მფარველად. უწინდელი სიტყვა «წინამდგომნი», როგორც უწოდებდნენ მღვდლებს ქრისტიანობის პირველს საუკუნეში, ძალიან კარგად ხატავს იმ პატივისცემას, რომელიც შეერთებული იყო მღვდლობის ხარისხთან და როგორი პატივითაც უნდა ეპყრობოდნენ დღესაც მღვდლებს.

(შემდეგ იქნება).

მღვდლების ცარცვა-გლეჯა.

ამ ათიოდე წლის წინად როგორც საზოგადოებაში ისე მწერლობაში აღიძრა კითხვა პოლიციაში მოსამსახურე პირთა რიცხვის გაძლიერებაზე და ამ პირთათვის ჯამაგირების მომატებაზე. ეს კითხვა გამოიწვია, რასაკვირველია, გახშირებულმა ცარცვა-გლეჯამ და ავაზაკ პირთა გამრავლებამ. პოლიციაში მოსამსახურე პირთა რიცხვის გაძლიერებით და ჯამაგირების მომატებით ფიქრობდნენ ცარცვა-გლეჯის და სხვა დამნაშაობათა მოსპობას საზოგადოებაში. ფიქრობდნენ, რომ ამ სახით უფრო უშიშრად და მოსვენებით იცხოვრებდა საზოგადოების ყოველი წევრი. ჯამაგირების მომატებით შესაძლებელი იყო პოლიციებში ძველ მოსამსახურეთა მაგიერ მოეწვიათ უფრო ნიჭიერი და განათლებული პირნი. მართლაც, უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია ხალხის და მწერლობის სურვილს და შესაძინევად მოუშატა პოლიციებში მოსამსახურე პირთა რიცხვს და დაუნიშნა თითოეულს მოსამსახურეს რიგიანი ჯამაგირი. ამის შემდეგ ყველას იმედი ჰქონდა, რომ ცარცვა-გლეჯა და დამნაშაობანი იკლებდა და ყველა მოსვენებით იცხოვრებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სულ სხვას ვხედავთ. ცარცვა-გლეჯა თან-და-თან მატულობს. მრთსა და იგივე დროს გვესმის, რომ სხვა-და-სხვა ადგილებში ავაზაკები თავს ესხმიან კერძო პირებს, სტაცებენ მათ, თუ რამე გააჩნიათ, სასიკვდილედ სჭრიან თავიანთ მსხვერპლს და ხშირად კიდევ ხოცვენ. მინ არიან ეს ავაზაკები? მის ეცემიან ისინი თავზე და ხოცვენ? მსენი არიან მრევლნი, სამწყსო, სულიერნი შვილნი და იგინი ცარცვენ, გლეჯენ, სჭრიან და ხოცვენ თავიანთ მწყემსთ, სულიერ მამებს

და მასწავლებელთ! ავაზაკები იქამდის თავ-გასტონი შეიქმნენ, რომ დღით რამდენიმე კაცი თავი დამფეხებამდის შეიარაღებული, თავმად და უშიშრად ესხმიან თავზე თავიანთ, წინ-და-წინ სახეში ამოღებულს, მსხვერპლს. ავაზაკები ისე თავისუფლად და შეუბოვრად მოქმედებენ, თათქოს არაფისი არ ეშინოდესთ, თითქო დარწმუნებულნი არიან იგინი, რომ პოლიცია და კანონი მათ ხელში ვერ მოაგდებს. თორემ რითა აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ავაზაკები დღით ეცემიან თავზე მცხოვრებთ? უშიშრად შედიან სახლებში, არ ჩქარობენ, ხშირად კიდევ სვამენ და სჭამენ თავიანთ მსხვერპლს სახლში, დასცინიან თავიანთ მსხვერპლს და გულცავდ ისმენენ მათგან დაჭრილ და ნაცემ პირთა გულის შემაწუხებელს ყერილს და ღამილით დასცქერიან, როცა მათ ფეხქვეშ სახლში მოსვრილნი ჰყრიან მათგან დაჭრილი მსხვერპლნი. სწორეთ ასე მოქცნენ ავაზაკები ერთ მღვდელს ქუთაისის მაზრაში.

საყურადღებო ის არის, რომ ამ მოკლე დროში შრავალს ადგილს ვაგლოჯეს, და დასჭრეს რამდენიმე მღვდელი, და სახელდაზმურაპის მაზრაში, სოფელს საქარაში გაქურდეს მღვდელი მ. შერაძე, ქუთაისის მაზრაში, სოფელს სარამბში — მღვდელი ი. აფრადონიძე და სოფელს ჯახიძეში — მღვდელი ლ. ჩოხახიძე. ეს მოხდა ამ მოკლე ხანში და უწინ თვითონ ქუთაისში მოჰკლეს ავაზაკებმა მღვდელი ბერსამია და სხვა მრავალი მღვდელი გაქურდეს. ავაზაკები ამასაც არ კმარავენ, იგინი ახტურევენ ეკლესიებს და მონასტრებს და ვაქეთ იქიღვან ფულები და საეკლესიო ძვირფასი ნივთება და თუ ამ ავაზაკებს თავის დროზე არ მიაქცევს ჯეროვანი ყურადღება და ღირსეულად არ დაისაჯენ ისინი, შემდეგ იგინი ისე გათავამდებიან, რომ მერე მათთა ბოძოლა საქნელო და ფუქი შეიქნება.

სად არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? შეიძლება პოლიცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდეს ავაზაკებს და ისინიც ამიტომ ასე უშიშრად მოქმედებდნენ? მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება, რადვან დღეს პოლიცია ამ შემთხვევაში უფრო სიმაჯვით მოჰქმედებს, ვინემ წინეთ, როცა ასეთი ხშირი ცარცვა-გლეჯვა არ იყო. შანების ბოქაულთ დღეს იმაზე სამჯერ მეტი ჯამაგირი ეძლევათ, რაც წინეთ ეძლეოდათ და მასთან მინიჭებულ აქესთ ყოველივე უფლება, რომ დაიცვან წესიერება საზოგადოებაში. 1800

მანეთი წლიური ჯამაგირი სრულიად საკმაო არის, რომ უზნის ბოქაულის ადგილზე დადგენ პატიოსანი, განათლებულნი და მარჯვე პირნი. მანსაკუთრებით ესლა, როცა მრავალ განათლებული ახალგაზდა უადგილოთ დაიარება. ღრთა მივატოვოთ ის შემცდარი აზრი, ვითომც პოლიციაში მოსამახურე პირთათვის საჭირო არ იყოს განათლება, ოღონდ მათ ცოტადენი წერა-კითხვა იცოდნენ და ჰქონდესთ სასტიკი და გაბედული შეხედულება. შაველი დამნაშავე პარი პირველად პოლიციის მოსამახურე პირთა ხელში გაივლის ხოლმე. თუ მივიღებთ სახეში იმ სიძინელეს, რომელიც ხშირად მოსდევს რომელიმე დამნაშაობის გამოკვლევას და მას, თუ ხშირად რა საშუალებას ხმარობენ დამნაშავენი, რომ პოლიციაში მოსამახურე პირთ დამალონ მათი დამნაშაობა მოსყიდვით, ნაცნობობით, მეგობრობით და ნათესაობით და ხშირად კიდევ აზინებენ და სიკვდილს უქადიან ამ მოსამახურეთ, თუ იგინი დამნაშაობას არ დამალვენ; თუ მივაქცევთ ყურადღებას, რომ პოლიციის ბოქაულები ხშირად საშიშარს მდგომარეობაში ვარდებიან, განსაკუთრებით, როცა დასაჭერათ მასდევნ ავაზაკებს და პირის-პირ ხედებიან მათ, მაშინ ადვილათ დავრწმუნდებით, რომ პოლიციაში მოსამახურე პირთათვის, განსაკუთრებით უზნების ბოქაულთათვის, საჭიროა განათლება, საჭიროა, რომ ეს პირნი იყვნენ განათლებულნი, კეთილ-სინდისის მექონენი და მასთან ჰქონდესთ გამბედაობა. თუ ასეთი ბოქაულები გვეყოლება, მაშინ, უეჭველია, რომ განშირებული ცარცვა-გლეჯა შესამჩნევად შემცირდება, თორემ ესლა თითქო დამნაშავეთ არც კი ემინიათ მთავრობისა და იმედი აქვსთ, რომ მათგან ჩადენილი ბორბტება შეუტყობლად და დაუსჯელად დარჩება. ჩასაკვირველია, პოლიციას არ შეუძლია გაასწოროს უზნეო და ხასიათ გაფუჭებულნი პირნი, მაგრამ ავაზაკნი ისე თავამად ვერ იმოქმედებენ, თუ ეცოდინებათ, რომ მათ დამნაშაობას მალე შეიტყობენ და იგინი ხელში ჩაუვარდებიან მართლ-მსაჯულებას. ამ სიტყვებით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა დავამციროთ მოქმედება და სამახური პოლიციის ესლანდელი ბოქაულებისა, რომელთაც თუმცა უმადლესი სწავლავანათლება არ მიუღიათ, მაგრამ თავის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებენ.

მეორეს მხრით სახეში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომელიც შესამჩნევად ხელს უშლის პოლი-

ციის ბოქაულებს, რომ მათ ჯეროვნად იმოქმედონ. დღეს ჩვენს სამსაჯულოებში საქმე ისეა დაყენებული, რომ მრავალი ავაზაკები დაუსჯელად რჩებიან, რადგან სამსაჯულო ვერ შოობს ყველა საბუთება, რომელიც საჭირონი არიან დამნაშავეის დასასჯელად. ამის წყალობით ავაზაკები ხელში უსხლტებიან მართლ-მსაჯულებს, გამოდიან საპატიმროდგან, ბრუნდებიან თავიანთ სახლებში და ცდილობენ, რომ თავისი დამნაშაობა დაჰუარონ. აქ რა უნდა მოახერხოს ბოქაულმა? იმან აღმოაჩინა დამნაშავე, დაიჭირა იგი და მასცა ხელში მართლ-მსაჯულებას; ბოქაული დარწმუნებულია, რომ მისგან დაჭერილი პირი ნამდვილი დამნაშავეა და, რასაკვირველია, სწუხს, როცა ხედავს, რომ დამნაშავე თავისუფლდება და ისე ალხენინად დასეირნობს, თითქოს მას თავის დღეში არაფერა არ ჩაედინოს! ფრიად საჭიროა, რომ თვითონ ხალხი არ ფარადესთ თავიანთ მცარცველებს და მკვლელთ, რომ მოწმები უჩვენებდნენ სამსაჯულოს სიმაართლეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღეს ჩვენს ხალხში სარწმუნოება დაცვა და ცრუ-ფიცი ხშირი მოვლენა არის. მართის სიტყვით, საჭიროა ყურადღება მიაქციონ ხსენებულს საგანს იმ პირთ, რომელთა მოვალეობას შეადგენს სამშობლოზე ზრუნვა და საზოგადოებაში წესიერების დაცვა. აცე განშირებული ცარცვა-გლეჯა მღელღებისა და ეკვლესიებისა იმდენად სამწუხარო და საყურადღებო მოვლენა არის, რომ, იმეღია, მთავრობა ამას ყურადღებას მიაქცევს.

ხოლო ჩვენს თანამოძმეებს ურჩევთ, რომ მათ სახლში არ შეინახონ ის ორიოდ გროში, რომელიც დაკული აქვსთ შავი ღლისათვის. მათ კარგათ უნდა იცოდნენ, რომ ავაზაკებს გზას უჩვენებენ მათივე მახლობელნი და ხშირად თვით შინაურნი. თორემ რით უნდა ავხსნათ, რომ ავაზაკები ასე თავისუფლად შედიან სახლებში და უჩვენებენ თავიანთ მსხვერპლს იმ ადგილებს, სადაც მას შენახული აქვს ფულები და ძვირფასი ნივთები. თუ თვით ჩვენ არ მოუვარეთ ჩვენს თავს და ხელი არ მოუწყვეთ მთავრობას ჩვენი დაცვის საქმეში, მარტო მთავრობა ვერას გახდება, რომ ჩვენ სრულიად დავგიფაროს.

ქვემოთ ვაჩვენებთ თქვენს სახლში...



გულის რჩევა.

გულე იფიქრე, იფიქრე
და შეიკრიბე აზრება,
სულ თიფრ თითხად აღწიხს
ჩვენი დაბა და მარცხება.

შეიტყვე მათში ვინ სტყუებს,
ვინ რისი მიმდევარია,
კატს დასდევ ფასი კატისა,
აწა კატს უთხარე ვარია.

ისარე გულე, თუ ჭბოვო
მრავალი კაცი კატებად,
თუ «დეკანის სანთელი»
აღარ დაგჭირდეს სანებად.

აწ დასტოვო, აწ გამოგჩნეს,
გარდავლე უკვლას თვალში,
გაუჩინებლად წოდებისა:
ერო, ბერი, კაცი, ქალი.

შესჯები კატსა, გაინობ,
სასე აქვს დიან კარგია,
გულე, რას ჭიუჭობ შენ მაშინ?
ატყობ რამ ჭიუჭის მარგია?

ტანად კარგი, მომლიძარი,
ბირ წუღიანი, ენა მჭკერი,
არის თუ არ მხლელად ამით
კაცი კატად დასაჭერი?

მაცნობარმა ფარისკელებს
სიტყვა უთხარე ერთხელ ტარე;
რადგან მათი ქცევა, გული,
იყო ეშმაკისა მასე:

«ვაი, თქვენ ფარისკელებო,
არგულნო მწიგნობარნო,
ჭემარატების არგულნო,
სიბილწის მეგობარნო».

«მომსჯავსებულსართ გუბას,
გარე შეგულს შეგნებითო,
და ვით გუბო თქვენც კარე სართ
სავსე არა წმიდებითო».

ღმერთსა მუდამ ხელთ უზურია-
კატის გულის ვითარება,
იცოდა და მისთვის უთხარე
მათ, ამგვარი შედარება.

გვამტნო: კაცი არ იცნობა
შნოთ და სხვის მეტყუელებით,
გვართ, ჩხართ, «სერთუგითა»,
არც ენა მჭკვემეტყუელებით.

კაცი კატად ჩაითვლება,
სინდისით და მოქმედებით,
და თუ ეს არი აკლია,
ნუ გთვლით კატად, ნუ გსტყუებდით.

კატს მოძმეთა სიუგარული
უღვივოდეს უნდა გულში,
მათ ჭიჩს ჭიჩათ მიიმჩნევდეს,
ლხინს შეჭყვადეს სისარულში.

და თუ ლანდით მაინც შეგებდეს
კატში ქცევა ამის მსგავსი,
იმას ენდვე, ის მიიხდვე,
იმას დასდევ კატის ფასი.

რამდენ საფაონელი.

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

გ უ ჯ რ ე ბ ი

(გ ა გ მ ე ლ ე ბ ა *).

ხ ო ნ ი ს ა .

1814 ქ. მზა შეიდ წილ უძლეველო, მხნე მხედარო უფლისაო, და მოწამეთა მთავარო წმინდაო ზიარგი ხონისაო ჩვენ ლეთასა მიერ აღმატებულჲან დიდებულჲან თავადჲან წულუკიძემ სეაონჲან ბერის ძემ და კვალად პირმშომან ძემან ჩემჲან ბერჲან და სხვათა ძე და ჩემთა ერთობით, ვინებეთ და ვიკულის მოდგინეთ მცირელი რაიმე მსახურება წმინდისა და ცათა მოზადივისა ტაძრისა შენისა ესრეთ რომ აღამიკა ძუთათელადე პირველად თქვენის ეკლესიის ყმა ყოფილიყო. და ბატონს დიდს მევეს სალომონს ალექსანდრეს ძეს მამის ჩემის ბერის წულუკიძასათვის ებოძა თავის ადგილ მამულით და გლეხით და კიდევ უყანდა და შემდგომთ ყმათა ვითარებისაგან ის აღამიკაცი გარდაიცვალა და მერმეთ დიდის სენისაგან მისი შვილეთი ყველა დახოცა ერთი ოჲმ მღვდელის მეტი. მას მერმეთ ინება მისმა ყოვლად სამღვდელთაგამ უფალმა მთავარ-ფეოსკოპოსმა ინტონიმ და ეს მღვდელი და მისი მამის სეულობა ვედრებით გეთხოვა თავის ეკლესიისა თავის და ჩვენ ნება დავრთვიეთ და შემოავწირეთ ეს ოჲმ მღვდელი თავისი შვილებით და თავის მამის სეული სრულიად ადგილმამულით და ყმით და მათი ადგილ მამულით თენიერ ამ ერთის კაცის ივანია ლეინცავის მეტის და მისი მომავლის მეტით სრულიად ეს ზემოწერილ შეწირულმა ხელმეფულად შენის ეკლესიისათვის განმისაკუთრებია. შეიწირე წმიდაო დიდო მოწამეო ბიორგი და ნაცვლად ამისა გვამე მადლი შენი დამოჩიომი ცხოვრება ჩვენი კეთილად წარმართე და დაგვიფარე ყოველთა განსაცდელთაგან მეუღლით ძით და ასულით. ამისდა ნაცვლად ყოველს წელს ამაღლების დღესასწაულზედ თქვენის ეკლესიის კრებულნი დეკანოზი და ჯვარის მტვირთვლები ყმას გვიწირვიდნ და მოგვიხსენებდნ და როცა ევისკოპოსი

სწირადეს ისიც ნაწილს დაგვიდებდეს ან ვინც და რამანც ძემან კაცისამან. მეფემან ანუ ლედუფალმან უფლის წულმან კათალიკოსმან თავადმან აზნაურმან დიდმან ანუ მცირემან სამღვდელმან ანუ საერომან. წიგნისა ამას შლად ხელყოს და შეწირულებისა ამის მოსასპობად ისემც შეიშლების სჯული ძრისტიანობისაგან მასამც რისხავა დაუსაბამო ლმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ხორციელნი და უხორცონი წყაულ კრულ და შეჩვენებულ იყოს წმინდის სამებისაგან ათ-ორთა მოციქულთაგან. შეიღთა კრებათაგან ოთხთა პატრიარქთაგან და სრულიად აღმოსავლეთის ეკლესიისაგან. ხოლო დამამტიკებელნი ამისნი აკურთხენეს უფალმა კურთხევითა მით აბრაამ ისაკ და იაკობისითა. და კაცთაგან არის ამისი მოწამე წულუკიძე სენია. ხონის მოურავი წერეთელი შარსადან. სარდალი მაიხოსრო (1) და ესრეთ ბექლითა ჩემითა ვამტიკებ წერილსა ამას. და ბატონის მეფე სალომონის წყალობის წიგნიც მომირთმევია თქვენის ტაძრისათვის. დაიწერა წელთა უფლისათა: ჩხილ დეკემბრის: იან. და ხონის დეკანოზის ძეს მღვდელ მონაზონს ან ჯვარის მტვირთველს მასილს დამიწერია და მოწამეც ვარ წერილის ამის:—

მ. ჩვენ ყოვლად სამღვდლო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს. ვამტიკებთ წერილსა ამას, და შემზღელსა და გამტეხსა ამ წერილისასა ვსწყევთ და შევაჩვენებთ ჩვენდა მოცემულითა ხელმწიფებითა.

მ: ჩვენ ყოვლად სამღვდლო მთავარ-ევისკოპოსი ანტონი. მის მალალ უბწყინვალების წულუკიძის სვიმონის ბერის ძის შეწარულობის წერილსა ამას ვამტიკებთ. და შემზღელსა ამისსა ვსწყევთ და შევაჩვენებთ. ზეგარდამო ჩვენდა მოცემულითა ხელმწიფებითა.

1) გუგაძე წერეთელი უნდა იუკავს. ნახე გუგაძის მარკაპოლისა.

შენი შ. აქედ რაზმარ დამტიკებებს ეხებათ, რაგორც აღმოსავლეთ საქართველოში. დ. ფურცელაძეს ეს გუგაძის ან აქვს დაბეჭდილი. აქ მოხსენებული მიტროპოლიტი დოსითეოს ცნობილია ისტორიაში. მან და ექვსმა სსკა ეუვისკოპოზმა მისცეს ნება ჯგრისწერისა დაგით, აჩხილ მეფის შეილს (მმა სალომონ მეფისა), რაგა იგი 16 წლისა იყო, თუმცა საეკლესიო კანონები ამას უკმადავდენ. ამ ექვს ეუვისკოპოზითა რიცხვში ექვს ანტონ ანხიეპისკოპოზად.

*) იხ. «მწკმსი» № 11, 1891 წ.

ფებიოთა. და ჩემის ეკლესის დეკანოზი და ჯვარის მტვირთველი ბრალსა ქვეშე იყენენ. **თუმცა არა აღასრულონ ყოველწელ ამალღებას თქვენთვის წირვაც და მოხსენება:** წელთა: ჩჰიდ: დეკემბრის: 30.

ჭ უ თ ა ფ ი ს ა.

1795 წ. ჰი შენ ზენაისა დედოფალო ცათა და უერცყელსო საყდარო მეუფისაო ადგილო წმინდაო ღრუბელო ნათლისაო კვერთხო მოსიანო კიბეო ქვეყანით ცად აღწნილო რომელსა ზედაო დაისაყდრაო თა სწორმან მამისა და სულისამან სიტყვამან მამისამან და შენგან უთესლოდ ხორცთ შესხმითა აღიყენა ბუნება ჩენი და დასვა მარჯვენით მამისა ამისთვის მეცა მინდობილი და ყოელითა აზრითა ჩემითა შენდამი სასოებისა დამდები სრულიად იმერეთა მეფეთ მეფე მერე ლავითიანი. სოლომან და ერთ ხორცი ჩემი ლადიანის ასული დედუფალო დედუფალი. მარიამ ყოელითა სურვილითა და სასოებისა დადებითა აღვისთობ შენდამი და შევედრები ძლიერსა და უძღურსა შეწენასა შენსა მუთაფსა ლეთის მშობელო და გაკადრებ წვლიებსა. ამას შესაწირავსა ესრეთ. რომ მრავლის ჟამიდგან სოფლისა შფოთთა და მიმოკეთებათაგან ჯვარისას თქვენი შეწირულნი გლეხნი და მამულნი გამოცხვათ და ჰიფიანთ დაეპყრათ და ეკკლესისა თქვენისათვის სახმარად არა რაი იყოდეს ვიქმე შეწენითა შენითა ლეთის მშობელო მეფედ და დავი პარტახტი სამეფო მოიწია წინაშე ჩვენსა წინაო პატროსა და საგანედ სულისა წმიდისა განკუთვნილი ყოვლად სამდღელო მუდათელ მიტროპოლიტი ლოსითეოს და პირველთა მეფეთა მიერ აღწერილ გუჯარ მოიღოს მეფეებისა ჩვენისა წინაშე ვინილეთ ამ გლეხებისა თქვენისა ეკკლესის შეწირვას ცხად ყოფდა და ის გლეხნი და მამულნი ჰიფიანთ გამოვართვით და თქვენის წმიდის ტაძრისათვის დაეადევით შემდგომად ჟამისა მის ესცანთ იმ ჰიფიანებს თავის შესაფარავე და საჩხო გზა არსად ეპოვებოდა მრავალთა მწუხარებათა შინა იყენენ და ის ყოფიანები რომელიც ჯვარისას მამული გლეხნი ყავსთ სამართლიანის საზღვრით წმიდასა ტაძარსა შენსა შეესწირეთ ჰიფიანის მას თვალის შვილი ჰიფიანი დავით ჰიფიან იესე ჰიფიანი ბიორგი ბუჭუა ჰიფიანი შვილი ჰიფიანი მარტუა და ბუჭუა ჰიფიანი შარემოზ ჰიფი-

ანის ბაკიას შვილი სიმონ ამათი შეწირულობა ესრეთ განგვიწესებია, რომელც შენის წმიდის ეკლესიის შეწირულს მამულს იხმარდენ ჯარისას, ისენი შენის წმიდის ტაძრისათვის შემწირავს და რომელთაც სხვათა ადგილთა განთვისებით დასდგენი სამეფო სამსახურებსა შენსა იყენენ. შემდგომად ამის ეს ზედა აღწერილი ჰიფიანები თავისს ცოლშვილით თავისის ადგილ მამულით თავისის ნაკლებით გლეხებით ჯვარისას რაც მამისად პაპის სეულნი გლეხნი ან მამული აქვსთ იმიანათ თქვენის წმიდის ტაძრისათვის შემწირავს შეიწერე შენ ზეცათა და ქვეყანისა დედუფალო და ნაცულად მაგი მადლი მფარველობისა შენისა აქასა დამუნანისა მას საუკუნესა. აწითგან წარღმანთეიც და რომელთა მეტ მეფედა ანუ დედუფალოთა უფლისწულთა თავადთა ანუ აზნაურთა სიგლისა ამის შლად და დარღვევად ხელს ჰყოს შერისხენ შენ დედუფალო კვერთხითა დედუფლებისა შენისათა და წარმოადგებინენ ორნივე გუგანი თვალთა მისთანი ხოლო დამამტკიცებლნი და მკვირედ დამბეჭედლნი ამისნი, აკურთხენ განამტკიცენ კეთილ შეღირცხვითა და ყოელითა საქმითა კეთილითა ამა წერილის მოწამე სააღთ უხუცესი წერეთელი ზურაბ წულუკიძე ბიორგი და სხვანი ერთობით კარისა ჩემისა დედუფლნი დარბაზის ერნი აღიწერა ყოელითა ჰიჭინაძის ნიკოლოზისათა წელთა უფლისათა ჩჰჰმ (მისს ბ ბეჭედი: მეფე სოლომონისა.

სოლომონ (ხუცურად) *).

მრავალ ძალი.

1809 წ. ქ: წყალობითა თვით ყოვლად არსისა სამებისათა შუა მდგომელობითა შეიდ წილ უძლეველისა მხედართ მოწამის ძლევა მოსილის ბიორგისათა ჩვენ მეფე ყოვლისა იმერეთისა იესითა დავითით სოლომონიან ბაგრატიონი მეფე მეორე სოლომონ, და თანა ერთ ხორცი ჩენი დედუფალი ლადიანის ასული მარიამ. აღვიძვრით სულიერითა სასოებითა და განრყენილის საქმეთაგან დაგლახებულს წმიდის ბიორგის ეკკლესისათვის ვანჯინებთ

შენი შ. სოლომონ I † 1782. სოლომონ ქე II გადღაიწავა ტრახეხსდში.

სამარლო ზრუნვას აღსაშენებლად იმის ტაძრისა რომელისა არს უკანონოებისაგამო დაგლახაკებულ (ზედ წოდებულ მრავალ-ძალი). აწ ჩვენ იძულებული მეფეებრივისა მოხარცხეობითა დაესწრთ წერილსა ამას ეკლესიითვის ესრედ: ვინაღდან წმიდა ეკლესია ესე იყო ჟამთა ცითარებისაგან უწინამძღვრო და მემრე ჩვენ ვიზრუნეთ, რა განგვეწესნა მასა ზედა წინამძღვარი და დავადგინეთა მავრა უთანხმოებაჲმან ხალხისამან და უმეტრებამან უძვირესი და უსრეტესი შფოთი აღძრა ჟამსა მას და ჩვენ გარდმოვაყენეთ წინამძღვარი იგი და აწ კეთილად არა დაუტყვევთ ზრუნვა მის ეკლესიისათვის და ეკლესია ესე მრავალ ძალისა სახელც ზედა წმინდის ბიორგისასა აღშენებულთა თვისის ყმით, რომელც იყო პირველ საერისთო და მერმე სამეფო მიეცეთ ძმასა ჩვენსა ყოცლად სამღვდელო მიტროპოლიტს ღვთისთ (გვარით წერეთელს) რადგან ებარა შუცხ მონასტერი მისგამო ესეცა ვარწმუნეთ ყოველა კაცთაგან უცილოდ და ყოველთა წერილთაგან უწინაღმდგომოდ დაესდებთ ვალსა ამას რომელ ამკობდეს ყოვლითურთ ეკლესიასა ამას და შეჩვედეს ხალხთა სიტკობებით ყოველად სამღვდელო ესე მსახურებასა ამის ეკლესიასა, რათა არა იქმნას აღძვრა ბოროტი ხალხისა შორის უძვირეს პირველისა, და თავისს საკუთრის სოფლით, რომელიც არა უჭირავს წერეთელთ ნაწილი მრავალ ძის სოფლისა და ანუ სხვათა აზნაურთა ვადღვეთ ყოველთაგან უწინაღმდგომოდ ვითარცა მას სოფელს ვგრეთვე გლენთა რომელიცა სხვასა სოფელსა შინა არს მის ეკლესიასა საუკუნოდ საწინამძღვროდ გვიზოდებიან ამის ყოველად სამღვდელოსათვის და ვინცა გამჩნდეს ამა წერილთა დამარღვეველი იყოს წყეულ კრულ და შეჩვენებულ სამარადისოდ წმიდის სამებისაგან ათ-ორთა მოციქულთაგან შეიღთა წმიდათა კრებათაგან და ყოველთა წმიდათა ღვთისაგან: ხოლო დამამტკიცებელნი სასმელნი ამისნი აკურთხენ უფალმან არიან ამა წერილისა მოწამენი თავადნი ჩვენნი საღვთისუცესნი წერეთელი ზურაბა, სარდალ წერეთელი ქაიხოსრო 1), მელენით უხუცესი სვიმონ

და სხვანი ერთობით ჯარისა ჩვენისა გამკენი აღიწერა წერილი ესე ხელთა გრიგოლ წერეთელ საღვთისუცესის ძისათა ქორონიკონს აქეთ ჩჰთ დეკემბრის თთვეს ძღ. 2)

ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის კუბაქის საეკლესიო — სამკველო სკოლების სამოხსენებლო წიგნის დადგენილობით ამ წიგნის წვენი უკვე გაემგზავრნენ მათდამი წმინდებულ სკოლების დასახელებად და მოწაფეთა გამოსაცდელად. თითოეულმა წვენი ვრცელი ანაკრიში უნდა წარუდგინოს სსენებულს წიგნს.

* *

მთაწმინდის ეკლესიის გალანში, სხვათა შორის, განისვენებს გვამი დიმიტრი ივანეს ძის უიფიანისა. შიკველს ხანებში მსურველად გამოაცხადეს სურველი, განსვენებულის საფლავზედ ძეგლის აგებისა, მაგრამ დღემდე ეს საქმე სიტყვად დაჩნა და საფლავი განსვენებულის დ. უიფიანისა ანათუ ძეგლს — უბრალო ქვასად არ ჭდისკვების აქამდე.

გაზეთი «ტ. ლისტოკ»-ი ამას შესახებ აი რას ამბობს: „უკველს ახსოვს, რა დიდის ამბით ჩამოასვენეს ქალაქ სტავროპოლიდამ გვამი განსვენებულის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვლისა და დასაფლავეს აქ. ქართლის თავად-აზნაურთა წამომადგენელის პირით წარმოთქმული იყო, რომ თავად-აზნაურთა თვითონ იყისრებს ძეგლის აგებას განსვენებულის საფლავზედ“.

შენიშვნა 2) მრავალძალი სმევს რაჭაში. ბარის წულის ასირას. წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება ხმალი, შეწერილი I შაკაბაზის მიერ. (Баградзе. Кавказъ въ памятникахъ христіанства, გვ. 104). მე გადმომცეს ზედწარწერა მრავალ-ძალის ეკლესიისა, მაგრამ იგი არ არის სრული და არ შეგვიძლიან ვსთქვათ. ვის ეუთვნის. აი ეს ზედწარწერები: «ქ. წმ. გიორგი მრავალ ძალი შეიწყაღე მონა შენი და უღირსი, წინაშე ღვთისა ქველ ექმენ, დღეს მას სასჯელისასა მეოხე შენსა გიორგისა. შეიძლება ეს ის გიორგი ფელავანდიშვილი იყოს, რომელიც ამოიკითხა ბროსსემ ქვაზედ».

1) ეს ქაიხოსრო იხსენებს აგრეთვე ხონის გუჯარში.

ლაზიკო, მაგრამ მწუხარებამ უკვლას გაუარა და საფლავი ამ უამად მიწასთან გასწორებულა. ვისაც მისი მამებნი უნდა, ეკვლევის დარჩენილი თუ დაეხმარება, თორემ ვერ მოსძებნის. ნეტავი რას ჭეშქარი შეილება და ახლა ნათესავები განსვენებულისა? — ასე ახლავებს გაზეთი თავის სიტყვას. («ივერია»)

*
* *

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 67 მოწაფე; ამათში სასწავლებლის სამმართველომ 31 მოწაფეს მიანიჭა უფლება თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შესვლისა. სულ დანიშნული იყო სემინარიის პირველ კლასში გასაგზავნად 36 მოწაფე; მაგრამ ხუთი მოწაფე დაბრკალა წლავანებად. სემინარიის წესდების ძალით სემინარიის პირველ კლასში შემავალი უნდა იყოს 18 წლისა. ეს ხუთი მოწაფე კი 18 წელზე მეტისა იყვნენ. ამ რიგისაში წლის წინად საქართველოს ექსარქოსმა, მთელ უკვლად უსამღვდელოებად დააჯილდოა, იმუმიდგამლა უწმ. სინოდის წინაშე, რომ 18 წლის მეტის მეჭონენი მიეღოთ სემინარიის პირველ კლასში. ეს უსამღვდელოება მამინ შვიწინა უწმ. სინოდმა და იმ წელს სემინარიის პირველ კლასში მიიღეს 18 წელზე მეტის ხნისა. წელს კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოსგან მოწერილობა, რომლითაც ითხოვებოდა, რომ 18 წელზე მეტის მეჭონენი არ გაეგზავნათ სემინარიაში. ამის გამო ერთმა წლავანებით დაბრკალებული მოწაფის მშობელმა თხოვნა გაუგზავნა პეტერბურგში საქართველოს ექსარქოსს და სთხოვა, რომ ჩემი შვილი წლავანების გამო ნუ დაბრკალდება. ექსარქოსს ამ მოთხოვნისათვის, რაგორც შეეკუთვნა, გამოუცხადებია, რომ ამისთანა საქმეების გადაწყვეტა დამოკიდებულია სემინარიის რექტორზე.

ჩვენის აზრით ეს განგაზრდება გამოწვეულია იმისგან, რომ სემინარიის პირველ კლასში შემავალი რიცხვი უკვე წლებით მატულობს, და უკვლას მსურველის მაღლა კი შეუძლებელი ხდება ადგილის უმეჭონებლობისა გამო. მაგრამ მღიერ სამწუხარაა, რომ ხშირად წლავანება აბრკალებს ისეთ მოწაფეებს, რომელნიც გაცილებით სჯობიან თავიანთ მცირე-წლავან ამხანაგებს.

*
* *

ჩვენ მაიღეთ ბ. გიორგი ექვთიმეზ მას წერეთლისგან შედგენილი წიგნი სახელად სრული კრება გაენათის მონასტრის კედლებზე და ქვებზე ზედწარწერათა და ხელნაწერების აშიაზედ მონაწერთა. ეს წიგნი გამოცემულია მოსკოვის სამეცნიერო-აქტივობის საზოგადოებისგან, რომელ საზოგადოების წევრად — გიორგიმონაღენტი ითვლება ბ. გ. წერეთელი. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, მაგრამ შიგადაშიგ მრავალი კორექტურული შეცდომებია. უკვლას წარწერილობანი განმარტებულია არიან ავტორისგან ისტორიული მოთხრობით. საზოგადოდ ეს შრომა ბ. გ. ექ. წერეთლისა ძვირფასია შექმნა ჩვენი ისტორიისათვის. ეს წიგნი უკვლასათვის დადად საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის გამოცხადებული არც წიგნის ფასი და არც ის ადგილი, საიდანაც შეიძლება წიგნის დაბარება. შემდეგში ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ ამ წიგნის ზოგიერთ შესანიშნავ ადგილებს.

*
* *

გაზეთ «ივერია»-ს სწერენ, რომ ნაშთი მესხეთი საუფროსისა, ეგრედ წოდებული ჯვარის ეკლესია, რომელიც მცხეთის გასწვრივ, მტკვრისა და არაგვის მარცხენა ნაპირის მდებარეობდა აგებული, სასულიერო მთავრობას ჩაუბარებია უკვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ალექსანდრესათვის, რომელიც აშორებს თურქეთს ამ ეკლესიის განახლებას და რაგონად მოწყობას. 22 ივნისს, ამ ეკლესიის დღეობის დღეს, მწიგნობარი უფლებად უკვლად სამღვდელო ალექსანდრე.

*
* *

წელს თბილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 28 ქალმა. ამათგან 2 რუსია და 26 ქართველები.

ამ სასწავლებელში მომავალი სექტემბრისათვის 18 სტუდენტიანთა თავისუფალი. ამ სტუდენტებში ექვსი არიან მატრიალიტი იონანიკისა: 4 თბილისის მაზრისთვის, 1 თელავისა და ერთი სამეგრელოსთვის და საეკლესიო საეპარქიო — 12, 3 თელავისა, 4 გორისა და 5 თბილისის მაზრისათვის.

*
* *

უწმ. სინოდის გარდაწვევით დღეიდან სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლების მოსწავლეთა გამო-

ცდაში მონაწილეობა შეუძლიან მიიღონ საეპარქიო განყოფილებათა სამოსწავლო საბჭოს იმ წევრთ, რომელთაც სამაზრო და ან ამის თანხაან სხვა სასწავლებლებში მანტ დუმიტოვრების სწავლა, და თუ არც ეს სწავლა მიუღიათ, სასკოლოწიფო სამსახურში ანუ შიგე ყოფილან, ან არიან და რამელსამე კლასის ჩინი აქეთ.

* *

მთავრობის განკარგულებით ყველა სასკოლოწიფო რეინის გზებზე ბილეთის მთელი სფასის მეოთხედი ნწილის გადახდით შეუძლიანთ იმეგზავრონ ყველა სასწავლებლების მასწავლებელთ და მსწავლეთა. თითოეული ბილეთის მისაღებად შემო აღნიშნულნი პირნი კვლდებულნი არიან, თავის მთავრობისაგან წარადგინონ რეინის გზის გამტეობაში რწმუნება მათი ვინაობის შესახებ, რი შეიღ კაპიჯანი მარკა და ადრესი, თუ სად უნდა გატეგანონ მათ ბილეთი. ამ ბილეთებს მსოფოდ სემი თოგის განმავლობაში აქვთ ძალა.

* *

სოფლის თერჯოლის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის მ. მინისიმე სულაქველიძისაგან ჩვენ მივღეთ გაზეთში დასაბეკლად შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმოჩინოლად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ ჩემისა და ჩემი მრევლის სახელით გულითადი მადლობა შევსწირო თერჯოლაში მცხოვრებს აზ. არჩილ ტარ. ფლავანდისშვილს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ეკკლესიას შესწირა შემდეგი ნივთები: 2 ხელი სამღვდლო და 1 ხელი მთავარ-რიაკენის შესამოსელი, ღირ—ნი ას მანეთად; ხატების წინ დასადგამი 2 დიდი მანდალი სპილენძისა ვერცხლშიდ დაფერილნი, ღირ—ნი 9 თუმნად; ამავე პირს 1885 წელში შეუწირავს ამავე ეკკლესიისათვის ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი ოქროში დაფერილი თავის დაფარებით, ვარსკვლავით, ტატუკით, კოვზით და ლახვარით, ღირებულნი ყველანი 12 თუმნად; შეუწირავს აგრეთვე ძვირფასი ხატები: ღვთის-მშობლისა, წმ. გიორგისა და წმ. მესტატი მცხეთელისა, ღირებულნი 6 თუმნად, და 1 ხელი სამღვდლო შესამოსელი ფარჩისა, ღირებული ხუთ თუმნად. ამავე ღვთის მოყვარე პირმა აღმითქვა 30 თუმნის ღირებული ზარის შემოწირვა».

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმზნეობაზედ.

მოხსენება გარდაცვალებულთა მართლ-მადიდებელ ქრისტიანთა.

დიდი მნიშვნელობა, სარგებლობა და მიუცადებელი საჭიროება შეწირულებათა და განსაკუთრებით უსისხლო მსხვერპლის შეწირვა გარდაცვალებულთათვის.
(გაგრძელება *)

გარნა თუ იგი დამნაშავე ჯ ცოდვილია, მაშინ წმიდანთა ნეტარების სილვის დროს იგი დაიწეებს მწუხარებასა და აშხილებს თავის თავს ამა სიტუებით: ვაი ჩემდა! როგორ ამაოდ გავატარე იმკვეენამი! გატაცებულმან თავის გულისთქმითა და კმაყოფილებით მე უმეტესი დრო ცხოვრებისა განვატარე დაუდევნელად ჯ უსრუნველად და არ ვემსახურე ღმერთსა, როგორც ჯერარს, რომ მეც ღირსი ვაქმნარიყავი ამ მადლისა და დიდებისა. ვაი ჩემდა! განხილვის შემდეგ ექვსი დღის განმავლობაში მრავალთა კეთილთა საყოფელთა, იგი კვალადვე ამაღლდების ანკელოსისაგან ღვთის თაყვანის საცემლად.

მეო. რ. მ. ც. ა. დ. ე.

(წმ. ანგელოსი უჩვენებს სულსა ჯოჯოხეთს და სატანჯველ ადვილს).

გარდაცვალებულთა ტირილის და კლოვის დღეები თვით მეკლს დროში კრებულდებოდა ორმოცი დღე: საღმრთო წერილი მოკვითნრობს, რომ ისრავლები სტირო-

*) იხ. «მწეამსია»-ს. № 9—10.

დენ გარდაცვალებულ ჰატრიარქს იაკობს ორ-
მოცი დღე, და მასთან დასძენს: რამეთუ ესრეთ
აღირიცხვიან დღენი დაფლვისანი (შექ. თავ.
6. მუს: გ—დ). წმ. მოციქულებმა, მიიღეს რა
ეს ჩვეულება ებრაელთაგან, დააწესეს იგი ქრის-
ტეს ეკლესიასა შინა, უეჭველია მისთვის, რომ
ვითარცა ქრისტემ სძლია ეშმაკსა, მეოფეა
ლოცვასა და მარხვასა შინა ორმოცი დღე,
აგრეთვე წმიდა ეკლესია, შესწირავს რა გან-
მავლობასა შინა ორმოცი დღისასა ლოცვა-
სა, მოწყალებასა და უსისხლო მსხვერპლსა
გარდაცვალებულთათვის, გამოითხოვს გარდა-
ცვალებულის სულისათვის მადლსა უფლასასა
სამღეველად მტერისა აეროვნებითი ბნელის
შთაფრისასა და დასამკვიდრებელად ზეცისა სა-
სუფეველისა. წმ. მკარტიტევის: „შემდეგ მეო-
რე ჯერ თაყვანის ცემისა, მეუფე ყოველთა
უბრძანებს წაიყვანონ სული ჯოჯოხეთში და
უჩვენებენ მას ადგილთა სატანჯველთასა, სხვა
და სხვა განყოფილებას ჯოჯოხეთისასა და
სხვა და სხვა გვართა წვალებათა, სადაცა ცო-
დვილნი სულნი ნიადაგ სტირიან და იღრჭე-
ნენ კბილთა. ამ ადგილებში სული დაჩრება
30 დღე მთრთოლვარე შიშითა, რომ ისიც
არ შთავარდეს ჯოჯოხეთსა, მეორმოცესა დღესა
გვალადვე ამაღლდება იგი თაყვანის საცემელად
უფლისა ღვთისა და მაშინ მსაჯული განუწყ-
სებს მას საქმეთა ებრ მისთა შესაფერ ადგილს
საპერობილესა შინა.

წლიური მოხსენება, საწლო.

გარდაცვალებულთა წლის თავსე მოხსენე-
ბის ჩვეულებას აქვს ორი საფუძველი: ა) ჩვენ
ყოველ წელს ვიდესასწაულობთ დაბადების დღეს

და არა თუ თავის ანგელოზის დღეს, არამედ
ჩვენ მშობელთა და ნათესავთაცა; მაშასადამე
უნდა ვიდესასწაულოთ ყოველ წელს გარდა-
ცვალების დღეც მეკობარითა ჩვენთა როგორც
მეორე დაბადების დღე ზეციური ცხოვრებისათ-
ვის, უაღრესის ქვენიური ცხოვრებისა, მასთან
უნდა ვვედრებოდეთ ღვთის მოწყალებას ფსალ-
მუნითა და გალობითა, და სასულიერო ქე-
ბითა, რათა მოწყალე ექნეს სულთა მათთა:
ბ) მოციქული ჰაულე იტევის: სიუვარული არა
სადა დავარდებან. (კოზინთელთა თავი ივ,
მუს. 6).

ვინაიდან მიმდინარეობისათანა დროისა
ყოველივე ძეცემის დავიწეებას, ამისათვის წმ.
ეკლესიამ, როგორც სავარელმა დედამ შვილთა
თვისთა, განაახლებს რა იგი სიუვარულსა ჩვენსა
გარდაცვალებულთადმი და მწუსარებასა მათზე,
კეთილად განაწესა წლის გამთავს და ახალი
წლის დამდევს გარდაცვალებულთა მოხსენება
ლოცვითა, მოწყალების მიცემითა და მსხვერპ-
ლის შეწირვითა.

გარდაცვალებულთა მოხსენებელი დღეები.

გარდა კერძო მოხსენებისა თითოეულ გან-
დაცვალებულთათვის მათ ამ ქვენიდგან განსე-
ლის შემდეგ წმიდა ეკლესია, ვითარცა შვი-
ლების მოვარული დედა, თანა მწუსარებს რა
სარწმუნოებით გარდაცვალებულსედ, შუამდგომ-
ლობს მათთვის, რა წოდებისა და მდგო-
მარებისაც უნდა იუვნენ ივინი, ამისათვის და-
ადგინა ესრედ წოდებულნი მშობელთა მოხსენ-
სენებელნი. დღენი, დანიშნულნი განსაკუთრე-
ბით მოხსენებელად გარდაცვალებულთა ქრის-
ტიანეთა სარწმუნოებასა შინა, მშობელთა მო-

სასწენებელი დღენი არიან: მსოფლიო შაბათი, ხორცთ აკრებისა, სამებისა, სულის წმინდის გარდმოსვლისა, განსაკუთრებით მსოფლიო შაბათნი დიდმარტვიანის მეორე, მესამე და მეოთხე კვირიაკეთა, აგრეთვე ორშაბათი ანუ სამშაბათი თომას კვირიაკისა და დღეწინასწარმეტყველის, წინამორბედის იოანე ნათლის-მცემლის თავის კვეთისა 30-ს აგვისტოსს.

გარდაცვალებულთა მოსახსენებელი მსოფლიო შაბათი, სულთაობა.

მსოფლიო მოსახსენებელი შაბათის დაწესება ხორციელის დაუწვეების წინ ეგუთვნის მოციქულების დროს, როგორც ეს ცხადად სჩანს ამ დღის სვინაკარდამ და დამტკიცების წესდებულებითა წმიდისა ეკლესიისათა მესხეთე საუკუნის დროიდან, დაწერილისა დიონისის საბბა განწმენდისა საფუძველსა ზედა ძველი დროის ზეპირ-გარდმოცემათა და ძველ ქრისტიანეთა ჩვეულებათა, რომელნიც იკრიბებოდნენ სოკიეროთ დღეებში სასაფლაოებზე მოსახსენებელად გარდაცვალებულთა, რომელზედაც წერილობითი დამტკიცება არის დამთენილი მეოთხე საუკუნიდან. ამ მოსხენების დაფუძნება დაარსდა იმით, რომ სსენებელი დაუწვეების კვირას წმიდა ეკლესია მოიხსენებს ქრისტეს მეორედ მოსვლას. ამისთვის წინა დღეს, ესრედ ვსთქვათ, წინეთ ქრისტეს სასჯელისა, წინედ დიდი ორმეოცისა მარტვისა, როდესაც ჩვენ თანამდებნი ვართ დაუახლოვდეთ სიუვარულითა ქრისტეს სასუფეველის ეოველთა წვერთა და ეოველთა წმიდათა, როგორც ცოცხალთა, აგრეთვე გარდაცვალებულთა, ეკლესია მუამდგომლობს ეოველთათვის აღამიღვან დღე-

მდე გარდაცვალებულთა კეთილ მსახურებასა და მართლ-მადიდებელ სარწმუნოებასა შინა— მამათ-მთავართა, მამათა და მმათა ჩვენთა და ეოველთა ნათესავთა: მეფეთა, თავადთა, მღვდელთა და მონაზონთა, ერისკაცთა, ჭაბუკთა და მოსუცებულთა. და ეოველთა, რომელნიცა დაფარბ წვალმან და დასცნა ბრძოლამან, და ძვირმან, და სვრამან, და ჰირადჰირადმან სიკვდილმან, და მხეცმან და ცეცხლმან შემწველმან, და ვანაკთა გუნდმან, და ქვეწარმავალთა და მფრინველთა მიერ განლელთა, უეცრად გარდაცვალებულთა და მოკლებულთა კანონიერ დასაფლავებასა, — მუამდგომლობს და ევედრება მართლ-მსაჯულსა გამოიჩინოს მათზედა თავისი მოწულება უკანასკნელს განსვლის დღესა დროსა მიღებისა საქმეთაებრ მათთა.

სულთა მოსახსენებელი დღე შაბათი ეოველთა წმიდათა კვირიაკეში.

დასაწეისი ამა დღისა აგრეთვე შემოდებულია მოციქულთა დროიდან; ამ დღეს უჩვენებს მოციქული პეტრე თავის სიტყვებში, რომელიც წარმოსთქვა მან მეერგასის დღესა, და რომელმაც მოციქული მოკვითსრობს აღდგომილს მაცხოვარზე, რომელიც დმერთმა აღადგინა მკვდრეთით, და კვიხსნა სნეულებათაგან სიკვდილისა (საქმე მოციქულთა თავი 11. მუს. 34), და მოციქულთა დადგენილობათა შინა, სადაც თქმულარს, რომ მოციქულნი აღივსნენ რა წმიდითა სულითა დღესა მას მეერგასესა, უქადაგებდენ იუდეელთა და წარმართთა იესო ქრისტეზე, მესა ზედა ღვთისასა, მსაჯულზე ცხოველთა და მკვდართა. მეერგასესა დღესა აღიბეჭდა გამოსუიღვა ქვეუნისა განმწმენელი და ეოვლად მღიერი ძალითა ცხოველს-მეოფელი-

სა უოვლად წმიდისა სულისა, რომელიც მც-
ხოვარებითი ძაღლით განვრცელდების რო-
გორც ცოცხალთა ისე გარდაცვალებულთა ზე-
და. ამისთვის წმიდა ეკლესია, როგორც სორ-
ცთ აკრების შაბათს დღეს, რომელიც წარმო-
ადგენს ამ ქვეყნის უკანასკნელ დღეს, ეგრეთვე
სამებისას სული წმიდის გარდამოსვლისას, რო-
მელიც წარმოგვიდგენს გამოცხადებას უოვე-
ლივე ძაღლით თვისითა იესო ქრისტეს სუფე-
ვისას, შესწირავს ლოცვათა უმეცრებასა ზედა
ხალხისა და მასთან სულთა გარდაცვალებულთა
მონათათვის, წინეთ გარდაცვალებულთა, და
ევედრება განუსვენოს მათ ადვილსა განსვენე-
ბისასა, რამეთუ არა მხოლოდ მკვდარნი გაქებენ
შენ, უფალო, არცა მეოფნი ჯოჯოხეთსა ში-
ნა აღვიარებენ შენ: არამედ ჩვენ ცხოველნი
გაკურთხევთ შენ, და გვევედრებით, და მსხვერ-
ჭლსა შევსწირავთ შენდამი სულთა მათათათვის.

მშობელთა მოსახსენებელი შაბათები 2, 3 და 4
დიდ მარხვის კვირიაკესა შინა.

წმ. ეკლესია, რომელიც დიდი მარხვის
წინაჲდ მჭიდროდ გვაერთებს ჩვენ მარხვის მე-
ოხებით ქრისტეს სიუვარულით უველა ჩვენ მო-
მძებთან—წმიდანებთან, ცოცხლებთან და გარ-
დაცვალებულებთან,—განსაკუთრებით განაგრ-
ძობს და განამტკიცებს ამ კანონს ჩვენთვის
კეთილი საქმეებით და დაუცხრომელად და უმ-
თავრესად გვამხნევენს და გვანუგეძებს მორ-
წმუნეთა წმიდანთა ცხოვრების მაგალითებით
და ამით გვაქეზებს, რათა ვქნათ საქმენი კე-
თილნი, შევეწიოთ მოყვასთა—მშვიერს მათგანს
მივსცეთ ჰური და განუმარტოთ უოველი ეჭვი.
ამ დღეებში წმ. ეკლესია მოკვატონებს ჩვენ,

რათა შევევედროთ ღმერთსა საწმუნოებით
გარდაცვალებულთა სულისათვის, რათა ღმერ-
თმან მიუტევოს მათ ნებით და უნებღიეთი
შეცოდებანი და განუსვენოს მათ წმიდანებთა
თანა. გარდა ამისა, ვინაიდგან ისე დროს გარდა-
ცვალებულთა მოხსენება სრულდება უოველ
დღეს, ხოლო დიდ მარხვაში ეს მოხსენება სა-
ეკლესიო საზოგადო ღვთის-მსახურების დროს
არ სრულდება, რადგან ეს მოხსენება სრულ-
დება სრული ღმერთის დროს, რომელიც
უოველ დღე არ სრულდება დიდ მარხვაში,
ამიტომ წმიდა ეკლესიამ, რომ არ მოაკლოს
გარდაცვალებულთა სულს მაცხოვრებითი შუ-
ამდგომელობა, დაადგინა, უოველ დღიური მო-
ხსენების ნაცვლად, შეასრულოს სამჯერ მსო-
ფლიო მოხსენება დიდი მარხვის მეორე, მე-
სამე და მეოთხე კვირიაკის შაბათს, და სახელ-
დაბამ შაბათ დღეებში, რადგან სხვა შაბათები
დანიმუნულია სხვა დღესასწაულებისათვის: ჰირ-
ველი—წმიდა თეოდორე ტირონის მოხსენე-
ბისათვის, მესუთე—სადიდებელად ღვთის-მშო-
ბლისა, ხოლო მეექვსე მართალი ლაზარეს
ადგომის სადღესასწაულოდ. ამიტომ ეს ლო-
ცვითი შუამდგომლობა წმ. ეკლესიისა არის
ქრისტეიანეთა კეთილ საქმეთაგან ერთი უკეთესი
მოღვაწეობა გარდაცვალებულთა სულისათვის,
რომელიც გვიჩვენებს ღმერთს ნაყოფს მონა-
ნებისა და ღმერთთან შერიკებისას, სიუვარულით
და მშვიდობით ეკლესიის უოველ წევრთა თანა-

სამშაბათი თომას კვირიაკისა.

თომას კვირიაკის სამშაბათს მართლ-მა-
დიდებელნი იხსენიებენ გარდაცვალებულთა იმ
კეთილი აზრით, რომ საწმუნოებით გარდა-

ცვალებულთა ცვაუხიარონ დიდი სისარული წმ. ჰასექისა, სისარული, რომელიც ახარა ვარდაცვალებულთ თვით უფალმა ღმერთმა ჩვენმა, რომელიც მთავიდა ჯოჯოხეთად, რათა აუწყოს ვარდაცვალებულთა მღვვა სიკვდილსა ზედა. რომ ეს მოხსენება სრულდებოდა ძველ დროშიაც, ამას ამტკიცებს მოწმობანი წმიდა ხმბროსი მედიოლანელისა და წმ. იოანე ოქროპირისა, ჰირველი ამბობს: „ღირსა არს და მართალ, მძანო, ჰასექის დღესასწაულის შემდეგ, რომელიც ჩვენ ვიდღესასწაულებთ, განუზაროთ ჩვენი სისარული წმ. მოწამეთ, და მათ, როგორც უფლის ვნებათა მოხიარეთ, ვახაროთ დიდება უფლის აღდგომისა. თუძცა აქ წმ. მღვდელ-მთავარი მოკვითხრობს წმიდა მოწამეებსე, მაგრამ ვინაიდგან სარწმუნოებით ვარდაცვალებულთა მოხსენება შემოდებულთა ახალი აღთქმის ეკლესიასი კეთილი ჩვეულებით მოწამეთა მოხსენებასთან ერთად, რომელთა შორის ძველ დროში მარსავდენ სხვა ვარდაცვალებულთაც, ამიტომ მისი სიტყვები მოწმობენ აგრეთვე, რომ ჩვენი ჩვეულება ვარდაცვალებულთა მოხსენების შესახებ ჰასექის შემდეგ თომას კვირის ორძებათს, ანუ სამძებათს არის ძველი შემოდებულება. წმ. იოანე ოქროპირი ვარდაცვალებულთა ჰასექის შემდეგ მოხსენებასე ამბობს შემდეგს: „რატომ დაწესეს ჩვენმა ძამებმა, დავტოვოთ სამლოცველო სასლები ქალაქებში, და შევიკრიბნეთ ქალაქს ვარეთ დღეს და სასელდობ ამ ადგილსე? იმიტომ, მიუკებს წმ. ძამა, რომ დღეს იესო ქრისტე მთავიდა ვარდაცვალებულთთან; ამიტომაც ვიკრიბებით აქ ჩვენ“...

საეჭვო კითხვების განმარტება.

პატრიარქული მღვდლის მ. იოანე პან—აგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი „მწყემს“-ში დასაბეჭდალ:

«მ. წმ. კთხავთ განმარტოთ ქვემოთ აღნიშნული საეჭვო კითხვები, რომელნიც ხშირად გამოაწვევენ ხალხე მოძღვარ-მოწაფეთა შორის გაუთავებელს ცილებას:

1) შეიძლება თუ არა განგარძოთ თითო დღე-ში იმდენი წიკვა მიტვალბულისათვის, რომდენიც იუენენ მღვდელნი და დიაკონი ერთად ერთს დღეს მისთვის მწიკველნი?

2) ორ-ას-ში მიტვალბულისათვის ერთს დღეს რომ წიწირ-ის მღვდელმან, ანგარძოება თუ არა თითო წიკვად თითოეული მიტვალბულისათვის?

3) სლამოს, მწუნის ლოცვის შემდეგ, და დილას, წიკვის წინეთ რომ გვირგინის გურთსეკა შესრულდეს, შემდგომ გვირგინის გურთსეკის შესრულებისა შეიძლება თუ არა წიკვის შესრულება იმავე ეკლესიასაში?

4) აღეკძალება თუ არა ეკლესიური კანონით დელაგატს ჰირეტუვის დაკვალა საჭირო დროს?

5) საჭიარების დროს შეიძლება თუ არა ერთ სეფისკეერსედ წიკვის შესრულება?

და 6) შეიძლება თუ არა თეთრი ღვინის ხმარება გვირგინის გურთსეკაზედ?

დღეს თქვენი პატრიარქული გაყეთით თქვენნი მოძენი იმ ზომადმდე ვსარტებლობთ მეტადრე მღვდელ-მოქმედებათა შესახები კითხვების განმარტებით, რომ დაუფასებელი არის ეს გამოცემა სოფლის მღვდელთათვის, და იმედი ვგაქვს, რომ თქვენ, როგორც კეთილმზრუნველი თანამომეტათვის, განსაკუთრებით უურადლებას მიაქცევთ ამნიკი კითხვების განმარტებას, რომელნიც ვაქნარ არიან, ვგონებ, განმარტებულნი თქვენს გაყეთში და არც სამრეველო ეკლესიებში ქანებულად

ტიბიჭონის წიგნებში, ხალხ ამგვარი კითხვების და მათი წოდება კი საჭირო არის მღვდელთათვის.

ზოგიერთი ზემო მოყვანილი კითხვები ჩვენ განმარტებული გვაქვს წინა წიგნების ნომრებში, მაგრამ ვინაიდან უველას არ მოეპოება «მწიგნოსი»-ს ნომრები, ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ ხედილოდ განვმარტოთ ერთი და იგივე კითხვა. ამისათვის პატივცემულ მ. კან—ას და სხვათა ვუცხადებთ:

1) ერთი წირვა, რამდენი მღვდლისაგანაც უნდა იყოს შესრულებული, ერთ წირვად ითვლება და არა მწირველი მღვდლების რიცხვისამებრ.

2) წირვის შესრულება მღვდელს რამდენიმე მიკვადლებულისათვის შეუძლია ერთად და თითოეულს მათგანს წირვადაც ჩათვლება.

3) უმჯობესია, რომ გვირგვინის კურთხევა სრულდებოდეს წირვის შემდეგ, მაგრამ თუ დროება და ვარემოება ითხოვს, რომ ამ დროს გვირგვინის კურთხევა მოუხერხებელია, მაშინ მისი აღსრულება საღამოს და დილაზედ, წირვამდინაც, შეიძლება. გვირგვინის კურთხევის შესრულება წირვას არ დააბრკოლებს.

4) ეკლესიური კანონი დედაბაცს პირუტყვის დაკვლას მინც-და-მინც არ უკრძალავს, მაგრამ ქალებს არ შეშვენის პირუტყვის დაკვლა. ქალის გრძნობა ვერ აიტანს პირუტყვების ხოცვას და მშვენიერი ჩვეულება სუფევს ჩვენში ამ მხრით. საქების ის ჩვეულებაც, რომ პატარა უმაწვილებს არა თუ თვითონ არ დააკვლევინებენ პირუტყვს, არამედ პირუტყვის დაკვლის ურებისაც კი უკრძალვენ ხოლმე. ძველ აღთქმაში დვთისაგან ნაბრძანები იყო, რომ

აღრჩეულ პირთ მამაკაცთაგან შეესრულებიათ პირუტყვთა დაკვლა. და ქალს კი არა ჰქონდა უფლება საქონლის დაკვლისა.

5) თუ ისე ვაწყვა პურის ფქვილი, რომ სუფისკვერი არ იშოვება, მაშინ წირვასაც თავი უნდა დავანებოთ... სადაც ერთი სუფისკვერი მომზადდება, იქ ხუთი სუფისკვერის გაკეთებაც შეიძლება. კანონით ითხოვება, რომ ხუთ სუფისკვერზედ იწირებოდეს. ხუთი სუფისკვერის შოვა სრულებით ისე ძნელი არ არის, როგორც ჩვენ გვჩვენება. გაჭირვების დროს შეიძლება ერთ სუფისკვერზედაც სწიროს მღვდელმა, მაგრამ არ გვჯერა, რომ იმ მღვდელს, რომელიც საღამოდგან მეორე დღეს წირვას ჰუტიქრობს, ეს გაჭირვება შეხვდეს.

6) ყოველ მღვდელს ეკლესიაში სახმარებლად წითელი დვინო აქვს შენახული, მაგრამ თუ მოხდა, რომ წითელი დვინო ეკლესიაში არ დაესწრო, შეიძლება თეთრი დვინოც იხმაროს მან ქორწინების შესრულების დროს.

სუცხლის ზიანის
 მზღვეველ საზოგადოების
Я К О Р Ы - ის
 აგენტი ქუთაისში
ილია შირიანის ძე ჭყონია
 იღებს საზღვევად ყოველგან ქუთაისის გუბერნიაში და სუხუმის ოლქში შენახებს, მოძრავს ქანებს და ზღვით ანუ სმელოთით გასაცავს საქანელს.
 ადრესი: ქუთაისი, ი. შ. ჭყონია.

შინაარსი: დიდი მნიშვნელობა და უაღრესობა მღვდელობის წოდებისა. — მღვდლების ტარცვა-გლეჯა. — გულის რჩევა (ლექსი). — საისტორიო მასალა. — სალიამბები და შენიშვნები. — სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საჭმუნებებსა და კეთილ მზნებაზედ. — საეჭვო კითხვების განმარტება. — განცხადება.